# სამშობლო

წ. I 1915 წ.

კვირა 26 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ორ ვადაში.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 66 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 66


ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო ფუძის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

„სამშობლო"-ს რედაქცია აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლათ გადაცვალებულის ხალხოსნურ მწერლის და ბელეტრისტის

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

2—2

---

ქ. შორ. წ. კ. გამავრ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარი ბელეტრისტის

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

2—2

---

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირეკტორი და მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 26 აპრილს, დილის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

2—2

---

ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოება აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ დღეს კვირას, 26 აპრილს, შუადღის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარი ხალხოსნურ მწერლის და ბელეტრისტის

**ნ ი კ ო ლ ო მ ო უ რ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

1—1

---

ანა არქიფოს ასული იოსელიანისა, კონსტანტინე იესეს ძე იოსელიანი შვილებით და ძმისწულებით, სიმონ, დავით და გიორგი არქიპოს ძენი ჯანელიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უეცრად გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისას, მეორე საყვარელი ძმისას, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი სიძისას

**ომაინ იესეს ძე იოსელიანისას,**

უმორჩილესად თხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, რათა პატივი სცენ ქრისტიანობის მიცვალებულის გამოსვენებაზე ამა აპრილის 28-ს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, დენერლის ქუჩაზე საკუთარ სახლში. პანაშვიდი ყოველდღე. ცალკე წერილები არ იქნება.

2—1—182

---

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 21 აპრილს გარდაიცვალა

**მარიამ (მარუსია) კლიმენტი არხიპოვის ასული რ ა ტ ი ა ნ ი ს ა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი გიორგი (გრიშა) გარსევანის ძე რატიანი, დედა—ივლიტე ტიმოთე ქუთათელაძის ასული, მამა—კლიმენტი ივანეს ძე, და—ლიუსია, ძმა—სამსონი, დედამთილი—თეკლე რატიანისა, მულები—ნინო და მარიამი და მაზლები—მიშა და შალვა რატიანები.

2—2

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი".**

ხუთშაბათიდან, 23 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი, კინემატოგრაფიის შედევრი!

**ომი და მშვიდობიანობა**

(ნატაშა როსტოვისა).

ხუთ ნაწილათ ლ. ტოლსტოის ცნობილი რომანიდან. უმთავრეს როლებს ასრულებენ იმპერატორის სცენის არტისტები: ვ. კარალლი, მ. რეიზენი, ნ. რუტკოვსკაია, ვ. პოლონსკი. მოსკოვის თეატრის არტისტები: ი. მოზჟუხინი, პ. ლოპუხინი და ა. ხრუვიმოვი. სურათი დიდგმულია პ. ჩარდინინის რეჟისორობით.

ფასები ცოტათი მომატებულია

---

წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა დ ა კ ლ ე ბ უ ლ ს ფ ა ს ე ბ შ ი.

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, კვირას, 26 აპრილს, მეორეთ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა-ზღაპარი გ. ჰაუპტმანისა

**დაძირული ზარი**

5 მოქ. თარ. ინ—ანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО"**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს ш ი

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს**, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც

**ხ. ხრისტოდულიდის**

მაუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი", აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი", შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი" რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

**კაბინეთი** მასსაჟის და საქიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ორთქლის ვანა**, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **აგრეთვე ფუცრი ყვავილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი მორიგებით. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დ რ ო ე ბ ი თ ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა**

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. უ.

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**ლონდონი.** 23 აპრილი. თემთა პალატაში ასკვიტი იძლევა მოკლე ცნობას დარდანელში ოპერაციების შესახებ. ჯარი გადავიდა ექვს სხვა და სხვა ადგილას. ერთი დივიზია მოქმედებდა სედილბახრში. ამ დივიზიის წინა ნაწილმა დღის განმავლობაში დაიკავა რამდენიმე მაღლობი, და ამით გაუადვილა დივიზიის დანარჩენ ნაწილებს გადმოსვლა. ავსტრალიისა და ახალზელანდიის კორპუსებმა იერიში მიიტანეს კაპატეპეს ფერდოებზე, აქ მათ გაიმარჯვეს, მოიგერიეს მტრის იერიშები და წინ წაიწიეს. გადმოსულ ჯარებს მრავალი დაბრკოლება დახვდათ წინ, მაგალითად მავთულები, მტერს მრავალჯერ იერიში მოქონდა და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს გადალახეს და მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. სედილბახრში გადმოსულმა დივიზიამ დაიჭირა ოსმალთა პოზიციები და წინ 5 მილით წაიწია. ახლა მას ნახევარ კუნძულის გამსწვრივ მოხერხებული პოზიცია უჭირავს.

19-ს, მოკავშირეთა რაზმმა წინ წაიწია ნახევარ კუნძულის სამხრეთისაკენ. ასკვიტმა დასძინა, რომ ოპერაციები ხელსაყრელ პირობებში ვითარდება.

**ბუქარესტი.** 23 აპრილი. სტამბოლიდან ცნობაა, რომ გალიპოლში მყოფმა დარდანელის მეხუთე არმიის უფროსის ლიმან ფონ სანდერსის შტაბმა გალიპოლი დასტოვა და სხვა ადგილი ამოირჩია, რადგან მოკავშირეები გალიპოლს გამუდმებით ესვრიანო, შტაბი როდოსტოში გადაიტანა. დარდანელიდან გამუდმებით მოყავთ დაჭრილები, რომელთა შორის ბევრი გერმანელი აფიცრები და არტილერისტებია. დაჭრილთა რიცხვი 15000 აღის. სულ დარდანელში მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 70000 უდრის.

**კეპტოუნი.** 23 აპრილი. გენერალ ბოტამ დაიკავა რკინის გზის მნიშვნელოვანი ადგილი კარიბიბი. დაიკავა აგრეთვე სადგურები: იოჰან-ალბრეხტშე და ვილჰელმსტალი. იმედი აქ მალე ვინჯუკიც დაიკავს.

**ლონდონი.** 23 აპრილი. დაღუპული გემის „კატხაი"-ს კომანდა და მგზავრები დილით რამოგეტში მოვიდენ. გემი ან მცურავი ნაღმისაგან და ან გერმანელთა წყალქვეშა ნავისაგან არის დაღუპული. მსხვერპლი არ არის.

**სტოკჰოლმი.** 23 აპრილი. მთავრობამ მოლაპარაკება გამართა გერმანიის მთავრობასთან, რომ მან შესცვალოს და შეამსუბუქოს კონტრაბანდის მკაცრი წესები.

**რომი.** 23 აპრილი. გერმანიის ელჩის რჩევით გერმანელები რომს სტოვებენ. დაიხურა გერმანელთა მეცნიერული საზოგადოებები და წიგნთსაცავ-სამკითხველოები. ამ დაწესებულებათა მოსამსახურეებმა რომი დასტოვეს. ფოსსიშე ცაიტუნგის და ბერლინელ ტაგებლატის კორესპონდენტები ბერლინს წავიდენ. დანარჩენი კორესპონდენტები დღეს საღამოთი გავლენ.

**პარიზი.** 23 აპრილი. დღემ წყნარათ ჩაიარა. პოლიტიკური მიზნის მიხედვით გერმანელებმა უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში თავისი მოქმედება განაცხოველეს დასავლეთ-ასპარეზზე. მაგრამ ყველგან დამარცხდენ და დიდი ზარალი ნახეს. მაგ. ბელგიაში, 9 აპრილს, გერმანელთა ორმა კორპუსმა იერიში მოიტანა. მათი მიზანი იყო გარღვიათ ჩვენი ფრონტი იზერთან იპრის ჩრდილოეთით. ჩვენი მარჯვე კონტრიერიშით მტერი მაშინვე შევაჩერეთ და დაკარგული ადგილის ნაწილი დავიბრუნეთ. ჩვენი ფრონტის ხაზი აღვადგინეთ და ძლიერი სიმაგრე მოვაწყეთ. ჩვენ შევსძელით ჩვენი ჯარისთვის მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო საშვალება მოგვეგონებინა. ამის შემდეგ გერმანელებმა სცადეს დიუნკერკისკენ გაწეულიყვენ და უშედეგოთ ყუმბარები დაუშინეს მას. დაბოლოს, გერმანელებმა სცადეს ეპარჟის აღება. სამი დივიზიით გამაგრებული, მათ შესძლეს ჩვენი ხაზის პირველი რიგის აღება, მაგრამ კონტრიერიშით ჩვენ ისინი უკუვაგდეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით ვევრში და ამისა და ლეპრეტის ტყეებში. 13 აპრილს შთაბეჭდილების მოსახდენათ იერიში მოიტანეს გარტმანსვაილერზე და მისი მაღლობი დაიჭირეს, მაგრამ 13-ს ჩვენ ისინი განვდევნეთ და 200 მეტრით წინ წავიწიეთ. ჩვენ წინ წავიწიეთ აგრეთვე შნეპფენრიტის რაიონში. აქ ხელთ ვიგდეთ მტრის ზარბაზნები. ამნაირათ, გერმანელთა იერიშები სავსებით დაიმსხვრა, გერმანელებმა ამ იერიშების დროს დაკარგეს 35000 კაცი, ჩვენი ხაზი ვერსად ვერ გაარღვიეს და ვერც ერთი მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება ვერ მოახერხეს,

**პარიზი.** 23 აპრილი. ჰავასი იუწყება, პარიზის რუსეთის ელჩი საყოველთაოთ იუწყება, რომ გერმანელთა ცნობა, თითქოს მათ კარპატებში გაემარჯვებიოსთ, 600 ზარბაზანი ხელ ეგდოთ და 300,000 რუსი დაეტყვებიოსთ, მტკნარი სიცრუეა. ეს ცნობა იმავე მიზნითაა გამოქვეყნებული, როგორც ლანგემარკთან გამარჯვების ცნობა, რომ ამით შთაბეჭდილება მოეხდინათ ნეიტრალურ ქვეყნებზე.

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ჩვენმა ჯარმა მტერი შეავიწროვა მდ. სივრიჩაის რაიონში და განვდევნეთ მათი პოზიციებიდან. ალაშკერტს ველზე ჩვენ ცხენოსან რაზმს შეტაკება მოუხდა ქურთებთან. დანარჩენ ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

მთავარ სარდლის შტაბისაგან. მიტავის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. მლავის გზით ჩვენ წინანდებურათ წინ მივიწევთ. ჩვენ დავიკავეთ ორი სოფელი მარციშე და გრნეიმკა. ამ რაიონში სამი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. მტრის ცდამ ფოლვარკი პანიანი დაებრუნებინა უნაყოფოთ ჩაიარა. 23-ს მტერი შეეცადა პილიცაზე გადასვლას კოზლოვეცის რაიონში, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ. გალიციაში, ვისლასა და კარპატებს შუა, ბრძოლა წინანდებური სისასტიკით გრძელდება და დიდი ბრძოლის ხასიათს ღებულობს. ამ რაიონში გერმანელებს, როგორც სჩანს, რამდენიმე კორპუსი მოუშველებიათ. მეზოლაბორჩის გზით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ექვსი იერიში. მაკუვკის რაიონში წამოყვანილი ტყვეთა რიცხვი იზრდება. ლომნიცის ველზედაც ჩვენ წარმატებით ვმოქმედებთ.

## ჩინეთი და იაპონია.

**ტოკიო.** 24 აპრილი. დარწმუნებული არიან, რომ იუანშიკაი იაპონიის ულტიმატუმს უყურადღებოთ დასტოვებს. ჯარის გაგზავნა აუცილებელი იქნება. ჯარი მზათ სდგას ხოკოდატესა და ხოროშიმეში, მეორე ესკადრა მზათ არის და ბრძანებას ელის. გემები „სუვი" და „საგამი" ცანდაოს წავიდენ.

**პეკინი.** 24 აპრილი. დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე ჩააბარეს იაპონიის ულტიმატუმი. პასუხის ვადათ დაუდვეს 26 აპრილი, საღამოს 6 საათი.

## ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

(დასასრული. იხ. „სამშ." № 65).

გემთამაშენებელთა დეპუტაციის წინადადებაზე და ლოიდ-ჯორჯის განზრახვაზე მაგარ სასმელების ვაჭრობით დაინტერესებულმა წრეებმა მაშინვე აღიმაღლეს ხმა და განუცხადეს, რომ ვაჭრობის სრულიათ შეწყვეტაზე ლაპარაკიც მეტიაო, მათ იმედი ჰქონდათ, რომ კონსერვატიული პარტია ახლაც მხარს დაუჭერდა. მაგრამ ხსენებულმა პარტიამ ამ ჟამათ ომის საჭიროებას მეტი ყურადღება მიაქცია და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას მხარი დაუჭირა. ამით გათამამებული მთავრობა მხოლოდ ახლა შეუდგა კანონ-პროექტის შედგენას.

მაგრამ სასმელების ვაჭარ-მრეწველებმა მაშინ მუშათა კლასს მიმართეს და მისი დახმარებით მოინდომეს ამ კანონ-პროექტის გაბათილება. ისინი მუშებს აგულიანებდენ მით, რომ თითქო მათ მთავრობა ლოთებათ თვლიდა, მაშინ როდესაც მათი აზრით თითქო მუშების ლოთობით წარმოება სულაც არ ფერხდება და ვითომ ლოთობა, როგორც მიზეზი სულ ტყუილია.

რა თქმა უნდა ყველა ამ გაიძვერულ დამცველობაზე მუშებმა უყურადღებობით უპასუხეს და ორმა მათმა წარმომადგენელმა გოსლინგმა და ვილიამსმა ლოიდ-ჯორჯს წერილით მიმართა, რომლითაც ისინი ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარის დაჭერას აღუთქვამდენ მას.

კონსერვატორთა გავლენიანმა გაზეთმა „ტაიმსმაც" ლოთობის წინააღმდეგ გაილაშქრა. დაბოლოს, 26 მარტს, არქიეპისკოპოსების ხელმოწერილი მოწოდებებიც გამოუშვეს მაგარ-სასმელების ხმარების წინააღმდეგ და ამ სახით კამპანია, როგორც იყო, დამთავრდა:

რეფორმის გეგმა უკვე შეიმუშავეს და ახლა მის გატარებას ეპირებიან. რეფორმა სულ სამ დებულებათ არის გამოცხადებული. 1) მაგარ-სასმელების ვაჭრობა სრულიად უნდა მოისპოს. 2) ლუდის სიმაგრე იძულებით უნდა განისაზღვროს და შემცირდეს. 3) აგრეთვე არაყეულობის ვაჭრობის დრო უნდა განისაზღვროს და შემცირდეს. ეს ზომები იმდენათ რადიკალური ზომები აღმოჩნდა როგორც ოპპოზიციის თვალში, ისე მთავრობისთვისაც, რომ პირველმა, ე. ი. ოპპოზიციამ ვაჭარ მრეწველთა სასარგებლოთ ზარალის ანაზღაურება მოითხოვა ხაზინისგან, ხოლო მეორე, ე. ი. მთავრობა ასეთ კომპენსაციაზე უკვე დათანხმდა. მაგრამ დაინტერესებული პირები, მაგარ-სასმელების ვაჭარ-მრეწველნი, თურმე ამას როდი ჯერდებიან.

ამ უკანასკნელ დღეებში მთავარ მინისტრს, ასკვიტს, დაინტერესებულ პირთა წრეების მრავალი დეპუტაცია წარუდგა. დეპუტაციები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ახლკვეთ წესების წინააღმდეგ და თავის მხრით აქციზის გადიდებას ურჩევენ მთავრობას. რასაკვირველია, ასეთი ზომა მათთვის ხელსაყრელია, ვინაიდან აქციზი, ეს იგივე არა პირდაპირი გადასახადია მხმარებლებზე გაწერილი, და ვაჭარ-მრეწველნი ამით არაფერს არ კარგვენ. ასკვიტი, ცხადია, ვერ დათანხმდება ასეთ უაზრო და შეუფერებელ ზომის მიღებაზე, მარა ისიც ცხადია, რომ ვაჭარ-მრეწველთა „მაგარი" მოთხოვნის ხელაღებით უარყოფაც არ შეუძლია; აქედან მთავრობისათვის ერთად-ერთი გამოსავალი დათმობაა და მეტი არაფერი, რასაც ინგლისის მთავრობა ასე დაჩვეულია: საითაც ძალას დაინახავს, იმის სასწორიც იქეთაა. ამნაირათ ინგლისში მთავრობა თავის ნებაზე კი არ მთავრობს და განაგებს ქვეყანას, არამედ იგი ვაჭარ-მრეწველთა ცალ-ცალკე ჯგუფებს ემორჩილება და მათი ნება სურვილის თანახმად მოქმედებს. ხშირათ მთავრობის ასეთ მორჩილებას, როგორც ხედავთ, დიდი ზიანი მოაქვს საქმისთვის, მაგრამ კონსტიტუციის ხასიათი ასეთია: ყველაფერი, ყოველგვარი წესი და „ზომა" კანონმდებლობითი გზით უნდა გატარდეს, დემოკრატიამ უნდა დაამტკიცოს და მერე მთავრობამ სისრულეში მოიყვანოს. რუსეთში კი მთავრობა არის აღმასრულებელი და ამიტომაც აქ ყოველივე „ზომები" დაუყონებლივ სისრულეში მოჰყავთ ხოლმე.

დ—ელი

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრების გამო.

დღეს მოხდება საურ. ნდ. საზ. წლიური კრება, სხვათა შორის ამ კრებაზე ასარჩევია საბჭოს სამი წევრი, ვინაიდან ძველს საბჭოს წევრებს ნესტორ ბარაბაძეს, იაკობ ალიბეგოვს და ბახტაძეს ვადა გაუვიდათ.

როგორც ამ საზოგადოების წევრს ჩემის მხრით არ შემიძლია, რომ არ გაუზიარო საზოგადოებას ჩემი შეხედულობა გამგეობის ვადა გასულ წევრების მოღვაწეობაზე.

ვინც ფხიზელია, კარგათ უნდა ახსოვდეს ბ. ბარაბაძის წასული მოღვაწეობა არა თუ ამ ბანკში, არამედ ვოლგა-კამის ბანკშიაც კი. იმის მაგიერ რომ დახმარებოდა ქართველ ვაჭრებს და ხელი შეეწყო ქართველების სავაჭრო ასპარეზზე გამოსვლისათვის, სწიხლავდა და კოტრობის გზაზე აყენებდა ქართველ ვაჭრებს. მარტო ჩემისთანა ახალგაზდა ხელ მოკლე ვაჭრებისთვის რომ შეეშალა ხელი, მე არას ვიტყოდი (თუმცა ესეც დიდი უსამართლობაა), მაგრამ როდესაც დამსახურებულ ქართველ ვაჭრების ვექსილებსაც კი იწუნებდა და „უჩოტს" არ უკეთებდა ხოლმე, დუმილი შეუძლებლათ მიმაჩნია. ახლა თქვენ გასაჯეთ, ბატონებო, რა გამოსადეგი, ან და რა სარგებლობას მოიტანს კვლავ ასეთი პიროვნების არჩევა?

რაც შეეხება ბ-ნ ალიბეგოვსა და ბ. ბახტაძეს, შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ საურთიერთო ბანკს მიუდგომლათ და უანგაროთ ემსახურებოდენ, მაგრამ ახალ არჩევანზე თურმე უარს ამბობენ.

ჩემის ფიქრით საბჭოს წევრებათ, რომ ავირჩევდეთ არონ ფ. ციციაშვილს, რომელსაც დიდი სამსახური და პატივისცემა აქვს დამსახურებული [illegible] განურჩევლათ [illegible] ნოებისა, მასთან [illegible] ფანცხავას და ლევან კოკოჩაშვილს მშვენიერი შემადგენლობაც იქნება და ბანკის საქმეც წინ წავა.

როგორც ხმა დადის გამგეობის თავჯდომარე თავადი ნესტორ ერისთავი ავათმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებსო.

ყველამ კარგად უწყის, თუ რა დიდი ღვაწლი და შრომაც მიუძღვის თავად ნესტორს საურთ. ნდობ. საზოგ. აღორძინებაში. ნესტორმა არ გაიტეხა გული იმ დროსაც კი, როცა ბანკის ბედი ბეწვზე ეკიდა და სულს ღაფავდა. მან განაგრძო დაუღალავი ენერგიული მუშაობა და დღემდის ერთგულათ და სისწორით ემსახურება ამ საზოგადოებას. იმედია ეს საზოგადოებაც პატივსცემს და ღირსეულათ დააფასებს მის შრომას.

თავისთავათ იბადება საკითხი: ვინ უნდა იყოს არჩეული ნესტორ ერისთავის მაგივრათ?

თუმცა ბატ. დათეშიძეს მე ბევრ გარეშე საკითხებში არ ვეთანხმები და უკმაყოფილოც არის ჩემზე და მე მასზე შარშანდელ კრებაზე მომხდარ ინციდენტის გამო, მაგრამ მე ზნეობრივათ მოვალე ვარ მისი კარგი მხარე აღვნიშნო. ბ-ნმა რაჟდენმა ბანკი ააყვავა, ბანკმა კი მისი უნარი და საქმიანობა გამოააშკარავა.

შეიძლება ბევრმა ინტელიგენტმა კიდევაც დამცინოს, მაგრამ ვიღებ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ბატ. დათეშიძეს ბევრი დადებითი მხარე აქვს საზოგადო საქმიანობაში, ჩემის ფიქრით, დიდათ სასარგებლო იქნება ბატ. დათეშიძის გამგეობის თავჯდომარეთ არჩევა. რაც შეეხება დათეშიძის მაგიერი კაცის არჩევას, ამისთვის უმჯობესია, ვინაიდან კანდიდატები ბევრია, მოხდეს წინასწარი კრება, ვიქონიოთ მსჯელობა და ვინც სასარგებლოთ დავინახოთ, ის ავირჩიოთ *).

დათიკო ქებაძე.

*) ვბეჭდავთ ავტორის პასუხისმგებლობით ამ სადა და უბრალო წერილს იმიტომ უფრო, რომ იმისთანა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის „ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების" საზოგადო კრება, არც ერთ ინტელიგენტს ხმა არ ამოუღია და ეს კრება ადგილობრივ პრესის გაუშუქებლათ ხდება. დაე, ბ-ნ ქებაძის თუნდა კერძო აზრი შეიქმნეს საგნათ კამათისა, იქნება რაიმე სასარგებლო შედეგი მოჰყვეს ამ კამათს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძოთ, პრესის გარეშე, ათასგვარი აზრი ტრიალებს და დიდი მითქმა-მოთქმაცაა გამართული: თითოეულ კანდიდატსა ჰყავს თავისი მაქებელიცა და მაძაგებელიც, მაგრამ ვერც ერთმა ჯგუფმა ვერ გამოიჩინა მოქალაქობრივი გამბედაობა და პრესის საშუალებით ხმა არ ამოიღო. ასეთი ჩვენი ქცევა კი დიდათ მაზარალებელიც არის და დასაძრახისიც... დრო არის ბოლო მოვუღოთ ყოველივე შინაურულ „ჩურჩულს თუ ნათლიმამობას" და საზოგადო, საერო საქმეებზე საჯაროთა და საქვეყნოთ ვილაპარაკოთ ხოლმე. მაშინ საზოგადო დაწესებულებებსაც მხოლოდ ისმოექცევა სათავეში, ვინც მართლა ღირსია მეთაურობისა და წინამძღვრობისა.

რედ.

## ნიკო ლომოურის ხსოვნას.

ღვაწლი მამა-პაპათა არ გაჰქრებიან, გწამდეს, ეს შთენნი კვლავ აღსდგებიან.

გაცხარებულ ეგზამენების დროს მერვე კლასში, მე გამოველ დასასვენებლათ მასწავლებელთა ოთახში. აქ რამდენიმე მასწავლებელი იჯდა მაგიდის გარშემო და ღრმად ჩაფიქრებულნი ჩასცქეროდნენ „სახალხო ფურცელს". გულმა მაშინვე იგრძნო, რომ ჩემი ამხანაგების სევდა უმიზეზო არ უნდა ყოფილიყო. ვკითხე, ნეტა ისეთი რა ამბავია დაბეჭდილი, რომ ასე ღრმად ჩაფიქრებულხართ-მეთქი. პასუხად ერთ-ერთმა მიმითითა ექიმ წინამძღვრიშვილის დეპეშაზე გორიდან. აქ ამოვიკითხე მეტად სამწუხარო და ჩემთვის თითქმის დაუჯერებელი ცნობა: „ნიკო ლომოური გადაიცვალა ნაშუადღევს 17 აპრილს"-ო.

განა შემიძლია აგიწეროთ ის სულიერი ტანჯვა, რომელიც ამ დეპეშამ ჩემში გამოიწვია? სიტყვით ვერ გამოვსთქვამ ჩემ შთაბეჭდილებას. ან კი რა არის „სიტყვა ჩვენი" იმ საიდუმლოების წინაშე, რომელსაც ადამიანი სიკვდილს უძახის!..

ნუ თუ ძნელია იმ გრძნობების გამოთქმა, რომელიც გულის სიღრმეში ჩამარხული გვაქვს? დიახ, ძნელია. ძნელია უფრო მაშინ, როცა დიდ უბედურებას გაიგებ გულითადი მეგობრის შესახებ.

არც მსურს ამ წერილში ზოგადი ფრაზებით ჩემი სევდა გამოვხატო. სულიერი ტანჯვა ისე ძლიერია, რომ სიტყვებსაც ვერ ვპოვებ—სავსებით გამოვამჟღავნო ის, რასაც ახლა მე ვგრძნობ. ნიკოს გადაცვალებამ, ამ მოულოდნელმა სამწუხარო ამბავმა, მეხივით იმოქმედა ჩემზე, ღრმად შესძრა მთელი ჩემი არსება.

ძვირფასო ნიკო, ჩემო კეთილო მეგობარო! ვიტყვი უფრო მეტს: ჩემო დამრიგებელო და მასწავლებელო! ნუ თუ სამუდამოთ მოგვშორდი და აწ ველარ გნახავთ ამ ქვეყნად? ნუ თუ სამუდამოთ დადუმდენ შენი ბაგენი?. ნუ თუ ველარ მოვისმენთ შენ ტკბილ ქართულ ლაპარაკს, რომელიც კერძოდ ჩემზე მოქმედებდა, ვით ჰარმონიულად შესრულებული სიმფონია?.. ღმერთო, რა ძნელი დასაჯერებელია ყველა ეს ჩემთვის!..

რამდენი რამ კარგი და კეთილი მახსოვს მე ნიკოსაგან. დიდი ხანია, რაც მე მას ვიცნობდი. ჯერ ისევ უფროსი კლასის მოწაფე ვიყავი გიმნაზიაში, როცა ნიკოს ვხედავდი ხოლმე სალიტერატურო კრებებზე. აქ ჩემ ამხანაგებთან ერთად ვსტკბებოდი მისი იშვიათი ქართული სჯაბაასით. განსვენებული იმ დროს, ვინ იცის, არც კი გრძნობდა, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ის მოწაფეებზე. იგი დიდის ხელოვნებით ავრცელებდა ახალთაობაში იმ დროისთვის პროგრესიულ აზრებს და ჩვენც უნებურად ვითვისებდით ყოველ მის ნათქვამს.

შემდეგ, სტუდენტობის დროს, მალმალ ვხედავდი ნიკოს ქალაქ გორში. მის ოჯახში დავიარებოდი ისე თავისუფლად, როგორც მახლობელი, როგორც მისი უნცროსი სულიერი ძმა. ძვირფასო ნიკო! ახლაც მაგონდება ის სჯა-ბაასი, რომელშიც შენ მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდი. მჯეროდა ყოველი შენი სიტყვა, ღრმად უკვირდებოდი მას, რადგან ავტორიტეტად მიმაჩნდი იმ ხანებში.

მე რომ ვრცელი ისტორიული მონოგრაფია დავწერე—მეფე ერეკლეს სამხედრო ნიჭის შესახებ—ჯერ პირველად შენ წაგიკითხე, ჩემო მეგობარო! იმ დროს იქ შენი მეუღლის გარდა, სოფრონ მგალობლიშვილიც დაესწრო.

როცა კითხვა დავასრულე, შენ თავაზიანი კილოთი გაარჩიე ჩემი ნაშრომი; მახსოვს, მოგეწონა იგი და მაქე კიდეც, მხოლოდ სამართლიანი შენიშვნებიც მომეცი და ეს ყველაფერი ჩემ უბის წიგნში აღვნიშნე. შენმა ქებამ სულიერად ამამაღლა და გამამხნევა. სხვათა შორის, მირჩიე—ყურადღებით და რამდენჯერმე გადამეკითხა ძველი ქართული ლიტერატურის ნაწარმოები, მიმექცია ამავე დროს დიდი ყურადღება ხალხურ ლექსებზე, როგორც ძვირფას მასალაზე სიტყვიერების შესწავლისთვის... ერთი სიტყვით, მაქეზებდი, რომ სამშობლო ენა ღრმად შემეთვისებინა. არ ვიცი, რამდენად შევასრულე შენი წრფელი დარიგება, მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ იგი სიკვდილამდი არ დამავიწყდება, და მეხსომება, რადგან შენ თითონ ჩემ ხსოვნაში მუდამ ცოცხალი იქნები. განა შეიძლება, რომ შენმა ახლო ნაცნობებმა დაგივიწყონ, ან იმ ახალგაზდებმა, რომელსაც შენთან სულიერი კავშირი ჰქონია?.. არა და არა!..

შენი სიყვარული ახალთაობისადმი უსაზღვრო იყო... შენც, როგორც პროგრესიული აზრების მატარებელს, ახალგაზდობასაც ძლიერ უყვარდი. მახსოვს შემდეგი დამახასიათებელი ეპიზოდი.

კანიკულების დროს ერთად ვიყავით მიწვეული სადილად ერთ გორელ განათლებულ ოჯახში. აქ იყო ჩემს გარდა რამდენიმე სტუდენტიც. სადილის დროს ჩამოვარდა ბაასი იმ დროინდელ ქართველ სტუდენტობაზე. მე გულგატეხილი ვიყავი ჩვენ ახალგაზდობაზე: არ მომწონდა ზოგიერთის საქციელი, ფუქსავატი დროს გატარება, ლხინი ღ ზარმაცობა.. ჩვენ უმაღლეს შკოლაში უნდა შეგვესწავლა მეცნიერება და ცხოვრებისათვის მოვემზადებულიყავით სერიოზულად.

ამის მაგივრად მე ვხედავდი, რომ ზოგიერთი ვაჟბატონი არაფერს არ აკეთებდა, ლაზღანდარობდა, ქეიფობდა და ცდილობდა მხიარულად დრო გაეტარებინა. ასეთების რიცხვი დღითი დღე მატულობდა. გამოჩნდენ ისეთებიც, რომელთაც მუშტი-კრივით გვასახელეს ქართველები; ამ ვაჟბატონებს იმით მოჰქონდათ თავიანთი თავი, რომ ჩვენ „კავკასიელები" ვართ, ცხარი ტემპერამენტის ხალხიო... აი ამ არა სასურველ გარემოების გავლენით მე საერთოდ მთელ სტუდენტობას პესიმისტურად ვუყურებდი, რადგან რუს სტუდენტთა შორისაც ბევრ „ტარიელ მკვლავამძებს" ვხედავდი... სადილის დროს სწორედ ასეთი აზრი გამოვთქვი ახალგაზდობაზე... ჩემ ნათქვამს სასოწარკვეთილების კილო ჰქონდა.

ლაპარაკმა ძალიან ააღელვა ნიკო ლომოური, სახე გაუყვითლდა და გაკვირვებული შემომცქეროდა... გავათავე თუ არა სიტყვა, უცებ წამოხტა და ხმა მაღლა გვიბრძანა—აავსეთ ჭიქებიო. ჩვენც აუსრულეთ სურვილი. ნიკომ ნელის ხმით დაიწყო ამის შემდეგ ლაპარაკი. იშვიათი ქართულის ენით წარმოსთქვა სიტყვა—ექსპრომტი, რომლის შინაარსი ღრმად ჩამეწნა ხსოვნაში: აი ახლაც თვალწინ მიდგა ნიკო თავის ჭკვიანი თვალებით აღელვებული სახით... მან სთქვა შემდეგი: ბატონებო!... მე გაოცებით ვუსმენდი ახალგაზდა სტუდენტის სიტყვას; მისმა პესიმიზმით სავსე აზრებმა ჩვენ ახალგაზდობაზე ისე ამაღელვეს, რომ არ შემიძლიან უპასუხოთ დავტოვო იგი. მე არ მჯერა, რომ ასეთი შეხედულება ნამდვილ ჭეშმარიტებას წარმოადგენდეს... იგი, ჩემის რწმენით, გაუგებრობის ნაყოფია... დიახ, მეც კარგად ვიცი, რომ ზოგიერთი ვაჟბატონი, ბუნებით ზარმაცი და ჭკუით მოკლე, არ ითვისებს მეცნიერებას, არ ემზადება ცხოვრებისათვის...

მჯერა ისიც, რომ ზოგიერთი ახალგაზდა მუშტების მოტრფიალე არის და თავისი საქციელით მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების რაინდებს... ასეთი სტუდენტი უფრო ქრონოლოგიური ნიშანია, ვიდრე ცოცხალი არსება—ინტელექტი... მჯერა აგრეთვე, რომ ზოგიერთი ღირსიც კი არ არის, რომ მეცნიერების ტაძარში იმყოფებოდეს, რადგან ასეთი გვამი გაიძვერულად მიიღებს დიპლომს და ბოლოს „ჩინოსანი" ვინმე გამოვა... ყველა ეს დასაჯერებელია, მაგრამ ნუ თუ უმრავლესობა ასეთია? არა, ათასჯერ არა... მე ამას ვამბობ კატეგორიულად. ჩემი წრფელი შეხედულობა სტუდენტობაზე შემდეგია: წინადაც ყოფილან ასეთი არა სასურველი ელემენტები მოსწავლე ახალგაზდობაში, მაგრამ ესენი ნაძირალებს წარმოადგენდენ მათი მომავალი იყო „არარაობა". დიახ, არარაობა! ამას თითონაც გრძნობდენ. სტუდენტობის უმრავლესობა კი მუდამ ღირსეულად ატარებდა თავის სახელს. ეს უმრავლესობა წინადაც იყო, ახლაც არის და იქნება კიდეც პროგრესიული იდეების მოტრფიალე, წარმატების მომხრე. უფრო მეტსაც ვიტყვი—სტუდენტობა საზოგადოების მარილია... მოიგონეთ, ბატონებო (აქ ნიკომ ხმა აამაღლა) ლიუტერის ცხოვრება და მისი გმირული ბრძოლა რომის პაპის წინააღმდეგ, გაიხსენეთ მეცნიერი გალილეის წამება, მოიგონეთ გამოჩენილი პროფესორ შჩაპოვის ისტორია და თქვენ ნათლად დაინახავთ, თუ რა ძალას წარმოადგენდა სტუდენტობა!.. ეს ტრადიციები ახლანდელი სტუდენტობასაც არ აქვს დავიწყებული. დიახ, მე ღრმად მწამს, რომ უმრავლესობა კეთილ გზას არაოდეს არ ასცდება.

# ნიკო ლომოური.

(მოგონება).

ფირუზა ცა და ზაფხულის საამური დილა გვიწვევდა სასეირნოთ ბუნების წიაღზე. ჩვენც სწრაფათ ვისაუზმეთ და გავსწიეთ, რომ სადმე ბაღში, კაკლებ ქვეშ, მწვანე მდელოზე მივცემოდით ჩვეულებრივ კამათს და ტკბილ საუბარს.

საუცხოვო იყო ამ დროს სოფელი არბო. ძნებით დატვირთული ურმები მიჭრიალებდა ყანებიდან; იდგმოდა პურის ვეებერთელა ზვინები; აქა-იქ გაეშალათ კიდეც კალოები და ასრიალებდენ კევრებს. ისმოდა მხიარული სიმღერა და ბავშების ჟრიამული. კარგი მოსავალიახარებდა სოფელს, ატკბობდა მშრომელი ხალხის გულს.

ჩვენ გავსწიეთ აღმოსავლეთით. წინ მიგვიძღოდა თავის პატარა შვილიშვილებით ჩვენი უხვი მასპინძელი, განსვენებული ანტონ ფურცელაძე და გვართობდა სხვადა-სხვა არაკებით.

აჰა, გამოჩნდა კიდეც იქ, მოშორებით, მერეთის ბაღები! აქ დაბლა კი მოაქროლებდა თავის ლაჟვარდ ზვირთებს მთის ჩაუქი შვილი პატარა ლიახვი. მდინარის პირათ ფერდობზე ვერხვის ქვეშ ვიღაც მოხუცს გაეშალა პალტო, მოეხადა ქუდი და მარტოდ მწოლარე მისცემოდა რაღაც ფიქრებს. ის ჩასჩერებოდა ანკარა მდინარეს, თითქო სურდა ამოეკითხა მასში ბუნების საიდუმლონი.

ამ მოხუცის დანახვაზე უნებლიეთ გამახსენდა სულხანთის ლექსი:

—„წირველ ტკვრის პირას სევდიანი
ფიქრთ გასართველათ;
იქ ვეძიებდი ნაცნობ ალაგს განსასვენებლათ“...

— ეჰე, ჩვენი ნიკო სად ყოფილა! წამოიძახა მხიარულათ ანტონმა და გაეშურა მისკენ. ჩვენც გავყევით.

ამ ხმაურობაზე მოხუცი გამოირკვა, მოიხედა ჩვენკენ, წამოდგა სწრაფათ და მოცინარი სახით მოგვეგება წინ. ფართო შუბლი და მშვიდი თვალები ამტკიცებდენ მის ნიჭსა და გულკეთილობას. გაგვაცნეს იგი ახალ მოსულებს. ეს იყო „ალის“ და „პატარა ქაჯანას“ ავტორი **ნიკო ლომოური**.

ყველამ ერთად გავსწიეთ მერეთში ისაია ფურცელაძის მშვენიერ ბაღისკენ, სადაც გავაბით დაუსრულებელი კამათი ჩვენს მწერლობაზე.

ორიოდ დღის შემდეგ ცხინვალში გაიმართა დიდი საღამო ილია ჭავჭავაძის სახელზე. ამ საღამოს დაესწრო აუარება ხალხი. მთელი არბო და მერეთი გაეშურა იქით. ჩვენც ჩავსხედით მეფე ერეკლეს ეტლში, რომელსაც ება ორი დარბაისელი კამბეჩი და გავსწიეთ ნელის ნაბიჯით. იმერლებს მეტათ გვეუცხოვა ასეთი ურესორო „ლანდო“ და თუმც სქელი ლებით იყო მოგებული იგი და ზედ მუთაქებიც ეწყო, მაგრამ ვიკადრეთ მალე ჩამოხტომა და გავუდექით ფეხით 12 ვერსიან გზას. ჩვენი ქართლელი მასპინძლები მშვენივრათ გრძნობდენ თავს კამბეჩის ურემზე და დაგვცინოდენ.

კარგა დაღამებული იყო, რომ მივაღწიეთ ცხინვალს. ჩვენ შევედით ერთ შენობაში, რომელიც გაჭედილი იყო ხალხით. ეს გახლდათ ცხინვალის თეატრი. ცოტა ხანს შემდეგ აიხადა ფარდა და სცენაზე გამოვიდა მაღალი, გამხდარი მოხუცი შავ სერთუკში გამოწყობილი; ეს იყო ჩვენი ძვირფასი ნიკო ლომოური. იგი მიუახლოვდა ყვავილებით შემკულს ილიას სურათს და დაიწყო წყნარი ხმით მისი ბიოგრაფია. ვით მშვიდი, ანკარა ნაკადული, მოსჩქეფდა იმის ბაგედან ტკბილი ქართული, ესხურებოდა მსმენელთ, ვით მაისის ნაზი თქორი, ხიბლავდა, იტაცებდა სმენას.

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ოთხი პირისაგან მსმენია ნამდვილი და საამო ქართული; მხოლოდ იმათ შემაგნებიეს, შემაყვარეს ჩემი სამშობლო ენა; მხოლოდ იმათ მაგემეს ამ ენის სინაზე და თავისებური ჰანგები. პირველი იყო ჩემი ძვირფასი მოძღვარი ქართული ენისა **ნიკო ტარიელის ძე დადიანი**, ძველი ქართულის ღრმა მცოდნე, ტკბილ მოსაუბრე და იშვიათი ენამჭევრი ადამიანი. მან მამცნო ქართველი ენის სული და შემაყვარა იგი უსაზღროთ. მეორე იყო **ვანო მაჩაბელი** მისი წმინდა ქართული ქუხდა თფილისში სააზნაურო ბანკის კრებაზე, მოსჩქეფდა ბაგეთაგან, ვით კლდის შმაგი ჩანჩქერი, და თვით იგი გვაგონებდათ ამ დროს მრისხვანე ტრიბუნს. მან შემაყვარა ქართული ენის ძალა და სილაღე. მესამე იყო ჩვენი საყვარელი მგოსანი **აკაკი წერეთელი**. მისი ქართული ხან მხიარული, ხან სევდიანი, მუდამ ცქრიალა ფერადოვანი, ვით ცელქი ბავშის ცელქი ღიმილი, იყო ხან მწარე, ხშირათ შარბათიანი, სუბუქი, ნაზი, ჰაეროვანი, და ოცნებისა თვით ლაღი ფრენა. მან შემაყვარა ქართული ენის სინარნარე და ფერადოვნება. მეოთხე იყო **ნიკო ლომოური**. მის ბაგეთაგან ჩვენ გვესმოდა თავისუფლათ მომდინარე ტკბილი ქართული; მისი სიტყვა იწვევდა უსაზღრო სიამოვნებას და ამშვიდებდა სულს. შემიყვარდა ეს მშვიდი, თავისუფლათ მოკამკამე ქართული, ისე მშვენივრათ თქმული იმ საღამოს.

— ოჰ, ეს იყო ამ ხუთი წლის წინათ! მას შემდეგ ორ-სამჯერ ვიყავ არბოში, ვრჩებოდი იქ მთელი კვირაობით და ხშირათ ვნახულობდი ძვირფასს ნიკოს, ვსტკბებოდი მისი გონივრული საუბრით. ორი თვეც არაა, რაც მან მიძღვნა თავის პატარა წიგნაკი: „წინაპართა აჩრდილნი“, საუცხოვო ენით დაწერილი.

და აჰა, სიკვდილის ულმობელი ფრთები შეეხო იშვიათ ქართველს! აღარ გვყავს საუკეთესო მხატვარი, რომელიც ისეთი სიცხოველით და სინამდვილით გვისურათებდა მშრომელი ხალხის სულს, მის ლხინსა და გაჭირვებას! აღარ გვყავს ქებული ბელეტრისტი **ნიკო ლომოური!**.

ძვირფასო ნიკო! მუხლს ვიდრეკ შენს წმინდა ცხედრის წინაშე და ვეამბორები, მოძღვარო, შენს მარჯვენს...

— „კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთაყვანება“... ამბობს მგოსანი, და ასეთი კაცი, მცირე რიცხვთა შორის, იყავ შენ, სახელოვანო ქართველო.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, ღირსეულო ადამიანო! გწამს, რომ ქართველი გლეხის გულია შენი სავნე. შენ გიყვარდა ქართველი გლეხი და იგი არას დროს არ დაივიწყებს თავის საყვარელ მოძღვარს....

**სიმონ ქვარიანი.**

## სამგლოვიარო წერილი.

დიდათ დამალონა ძვირფასი მასწავლებლის ნიკო ლომოურის გარდაცვალებამ. სიკვდილამდინ არ დამავიწყდება მისი შესანიშნავი გაკვეთილები და ტკბილი საუბარი. მუხლს ვიდრეკ და თაყვანს ვსცემ მის ძვირფას ნეშტს.

მისი ნამოწაფარი **ნ. მესხი**

## ახალი ამბავი.

✦ სვანეთის მასწავლებელმა ვალერიან ჯაფარიძემ გადასცა ეთნოგრაფიულ საზოგადოების გამგეობას შემდეგი ნივთები: 1) სამი ხელნაწერი ეტრატზე (ტყავი) დაწერილი. 2) სოლომონ დოდაშვილის ქართული გრამატიკა 1830 წ. დაბეჭდილი. 3) სვანური ქუდი „კვარ“. 4) ორი სავამლე ხისა „ვაზნაჲ“. 5) შვილდ ისარი „ცუხმატ“. 6) მუსიკალური იარაღი „ჩანგ“. 7) გულის ხატის ბუდე ვერცხლისა ზედწარწერით: „წმინდაო მარინე დამიფარე წულუკიძის ქალი მარიამ“. ყველა ეს ნივთები სვანეთიდან არის მოტანილი.

✦ დღეს, 26 აპრილს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში შედგება ამ საზოგადოების წვრთა წლიური კრება. ასარჩევია გამგეობის სამი წევრი, ნაცვლად ძველებისა, რომელთაც ვადა გაუთავდათ. ასარჩევია აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარეც.

✦ ოცდა ხუთ აპრილს, ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულომ 360 მანეთი გაუგზავნა სოფელ დიდი-ჯიხაიშში ქ-ნ ეკატერინე იაკობის ასულს მიქელაძეს; ეს ფულები უნდა დაურიგდეს სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებს.

✦ დამშეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი, საჭირო სიმიდის შესაძენათ, პირობით შეეკრა ბ-ნ გიორგი ქავთარაძეს.

✦ დღეს ქალაქ გორში მიწას მიაბარებენ ცნობილის პედაგოგის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლომოურის ნეშტს. ქუთაისიდან დაკრძალვაზე დასასწრებლათ სხვადასხვა ქართულ დაწესებულებათა მონდობილობით გაემგზავრენ ბ.ბ. ს. რობაქიძე, ბ. ყიფიანი და ია ეკალაძე.

✦ სამშაბათს, 28 აპრილს, ქართულ თეატრში საქველმოქმედო მიზნით გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის ახალგაზდა მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე და იტალიიდან ახლად ჩამოსული ქალი თ. ბ. ორლოვისა.

✦ დეკანოზმა იოსებ კანდელაკმა, მღვდლებმა ფილიპე და ვლადიმერ კანდელაკებმა, ბესარიონ ჯაშმა და მედავითნეებმა ანთიმოზ კანდელაკმა და გაბრიელ შოთაძემ თავის მრევლთ ნახევარი წლის დრამის ფული აპატიეს. ამის შესახებ მათ მაზრის უფროსთან განცხადება შეიტანეს, რათა არ შეავიწროონ გლეხები დრამის ფულის გადახდით მათ სასარგებლოთ.

✦ სოფელ ილემიდან გვწერენ, ადგილობრივმა ვაჭრებმა შაბიამანი ერთი-ათად გააძვირეს და საშუალება მოუსპეს გლეხს მისი შეძენისა, რადგანაც გარგათ იციან ამ ვაჭრატონებმა, რომ საწყალი გლეხი ფუთ შაბიამანში 24 მანეთს ვერ გადიხდის გლეხები დიდ საგონებელში არიან ჩაცვივნული ამის გამო. ფიქრობენ, ვენახი თუ მოუწამლავი დარჩათ, მომავალში ყველანი შიმშილით ამოსწყდებიან, რადგანაც მათ ხელობას მხოლოდ მევენახეობა შეადგენს.

საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ ვაჭრატონების უსაზღვრო თავგასულობას და შაბიამანი ზომიერ ფასებში გააყიდვიონ გლეხებზე.

### თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ დაკლებულ ფასებში წარმოდგენილი იქნება ჰაუპტმანის ცნობილი პიესა „დაძირული ზარი“, პიესა დაიდგმება იმავე როლების განაწილებით, როგორც იყო დადგმული პირველად.

— —

ქართ. მსახიობთა ამხანაგობის სეირნობა, რომელიც დანიშნული იყო 23 აპრილისათვის, ცუდი ამინდის გამო გადაიდო 30 აპრილისთვის.

———

რეჟისორის კ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ მზადდება ახალი ორიგინალური პიესა შოთა დადიანისა „განწირულნი“.

———

ცენზურიდან დაბრუნდა ახალი ორიგინალური პიესა „ცხოვრების ტალღებში“, შალვა სანებლიძისა.

### თფილისი.

— კავკასიის ქალების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის ნება უკვე უკვე დართო მეფის მოადგილემ.

— წმ. ნინოს ლაზარეთისთვის ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ი კარტაშევმა 175 მან. 21 კ. გამოგზავნა. ეს ფული დარჩენილა იმ საღამოდან, რომელიც იქ ქართველ სტუდენტებს გაუმართავთ.

— გუბერნატორმა ნება დართო ქ-ნ ნინო ყიფიანისას გამოსცეს ქართული ყოველთვიური ჟურნალი „**ახალი მოამბე**“ ჟურნალის გამოცემაში უახლოესს მონაწილეობას მიიღებს ბ-ნი ივანე ელიაშვილი. ჟურნალი შემოდგომაზე გამოვა.

— 18 აპრ. ტფილისში მოხდა შეერთებული კრება სომხის ყველა ორგანიზაციისა, რომელიც ეხმარება გადმოხიზნულ სომხებს. კრებაში მონაწილეობას მიიღეს სომხის ცენტრალურ კომიტეტის, სასოფლო - სამეურნეო საზოგადოების, ნპასტამატუნცის საზოგადოების და ეკლესიების და სამღვდელოების კომისიების წარმომადგენლებმა. კრებამ აირჩია ორი დელეგატი ეჩმიაძინის გამგე კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად.

— სომხების სამეურნეო საზოგადოების კომიტეტმა დაადგინა ოცი ათასი მანეთი გაუგზავნოს თავის რწმუნებულს ა. თათეოსიანცს საქონლისა და სამეურნეო იარაღების მოსაწოდებლათ გამოხიზნულებისათვის.

## მივეშველოთ მეომართა ოჯახებს.

„სამშობლოს“ № 63-ში წავიკითხე ბ. ბ. ტუსკიას „მცირე შენიშვნა“, ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ღარიბ ოჯახთათვის უფასო სასადილოების გამართვის შესახებ. მეც მინდა ჩემი შთაბეჭდილება ვამცნო პატივცემულ მკითხველთ.

ჩვენც (მე და ორი ქალთა წრის წევრნი) ქალაქის განაპირა უბანი შევხვდა დასავლელით, სახელდობრ არქიელის გორა, გაბაშვილის ქუჩა და ოღასკურა.

---

მეცნიერებით შეიარაღებული, იგი ცხოვრებაში გაავრცელებს იმ ჰუმანიურ აზრებს, რომელიც არის ნაყოფი უმაღლეს სწავლა-განათლებისა და კულტურისა...

შორს ჩვენგან ლობე-მძვრალა სტუდენტობა; მათზე ლაპარაკი არც კი ღირს...; ყურადღების ღირსია მხოლოდ ნამდვილი სტუდენტობა, მაშ გაუმარჯოს საერთოდ სტუდენტობის უმრავლესობას, როგორც მეცნიერების მოტრფიალეს; გაუმარჯოს ჩვენ ქართველ ახალგაზდობასაც, რომლისაგან ბედკრული სამშობლო მოელის აზროვნულ წინსვლას და ზნეობრივ განახლებას!.,

სთქვა რა ეს სიტყვები, ნიკომ სიამოვნებით გადაჰკრა ღვინით სავსე ჭიქა. ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა, ჩემზედაც აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა ნიკოს მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ. გულის სიღრმეში ვიგრძენ, რომ ჩემი პესიმისტური შეხედულება სტუდენტობაზე იყო ცალმხრივი და გაზვიადებული. მიუხედავად ამისა, მე პასუხად რაღაც წამოვილუღლუღე და გაწითლებული გავჩუმდი. „დაჯექ, საშა“!.. წამოიძახა ერთმა ამხანაგმა, რომელმაც იცოდა, რომ მე ხუმრობა მიყვარდა. „დვოიკა ტებე, სადის“!.. ამ ოხუნჯობამ სიცილი გამოიწვია. მეც გამეცინა, მხოლოდ ჩემ მაგიერად ნიკოს ეწყინა; წამოდგა და მამობრივი კილოთი მითხრა: მე შენთვის მუდამ კეთილი მსურს; ჩემ სიტყვას საწყენათ ნუ მიიღებ... მწადს მხოლოდ ის, რომ უფრო ღრმად ჩახედო ხოლმე საქმეს. მინდა, რომ იმ ზოგიერთ ვაჟბატონს დაუახლოვდე; ეგებ კეთილი გავლენა იქონიო მათზე... იქნება ისინი არ არიან ისე დაღუპულნი, როგორც შენა გგონია!.

ამ სიტყვების შემდეგ ჩემი სადღეგრძელო დალია და მერე აწ განსვენებული ალ. ხაზანაშვილისა... ორთავეს გვისურვა წარმატება და კეთილი მომავალი.

მას შემდეგ გავიდა ბევრი დრო და ნიკოს აზრი საერთოდ სტუდენტობაზე, როგორც განმანათლებელ ძალაზე არ მავიწყდება, ვინაიდან იგი სამართლიანია და ჭეშმარიტი. იმ დროს კი ისეთი ღრმა გავლენა იქონია ჩემზე, რომ მე ყველგან ვცდილობდი მისი დარიგება სისრულეში მომეყვანა. ჩემში დაიბადა სიბრალული იმ სტუდენტებისადმი, რომელნიც წინად დაღუპულად მიმაჩნდენ... ამგვარ სტუდენტებს ლმობიერად ვექცეოდი, ვცდილობდი ამხანაგური კავშირით რაიმე გავლენა მათზე მქონოდა. მივედი თუ არა მოსკოვში, მაშინვე ვინახულე ერთ ერთი ჩვენი „მკლავძეთაგანი“, რომლის ძლიერმა მუშტებმა მთელი სატახტო ქალაქი აალაპარაკა. მას თავაზიანი კილოთი დაველაპარაკე და ძალიან დამიმეგობრდა. დაიწყო ჩემთან სიარული და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ფიზიკური ძალის გარდა ბევრი სხვა კარგი თვისებები ქონია: გულკეთილობა, რაინდული გამბედაობა და ბეჩავი ხალხისადმი სიყვარული. ამ სტუდენტს ძალიან უყვარდა, რომ მე რაღაცა მიზეზის გამო სხვანაირათ ვეპყრობოდი ახლა ევროპწოდებულ „ნაძირალებს“. მაშინ აუხსენი, რომ ასეთი ცვლილება ჩემში ნაყოფია ნიკო ლომოურის ზედგავლენისა. აუწერე დაწვრილებით მისი ვინაობა, დაავინტერესე ნიკოს ნაწარმოებებით. ის სტუდენტი დიდი ხანია რაც მოკვდა, მაგრამ ნიკოს სახელს სიკვდილამდი მოწიწებით იხსენიებდა და ხშირად ზეპირად ამბობდა ხოლმე მის ლექსებს:

გლეხის პატარა ბიჭი ვარ,
ღვთისა ამარად გდებული,
სისაწყლე-სილატაკეში
გაზდილი, დაბადებული... და სხვ...

აი, ასეთი ღრმა გავლენა ჰქონდა ნიკო ლომოურს იმ ახალგაზდებზე, რომელნიც მასთან სულიერათ იყვნენ შეკავშირებულნი.

როდესაც გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ჩემი ისტორიული სტატია სახელად „20 აპრილი 1771 წ. ანუ ასპინძის ომი“, გახარებული შემოვარდა ოთახში ჩემი მეგობარი—წინად „მკლავძე“—ახლა კი ნამდვილი სტუდენტი და გახარებული მითხრა—„შენი სტატია უკვე დაიბეჭდაო. ნეტა რა აზრისაა ნიკო ლომოური ამის შესახებო?“. არ გასულა სამი-ოთხი დღე და ლომოურისაგან მივიღე ვრცელი წერილი სადაც ის არჩევდა ჩემს ნაწერს. ჯერ ძალიან მაქებდა და ღირსებაზე ლაპარაკობდა, შემდეგ ჩვეულებრივად რამოდენიმე შენიშვნას მაძლევდა. წარმოიდგინეთ, რომ მისი ქება ჩემზე ისე არ მოქმედობდა, როგორც შენიშვნები. ამისი მიზეზი ის არის, რომ განსვენებულმა იცოდა თავისებური და ლმობიერი კილოთი აზრების გამოთქმა.

სწორედ ასეთივე შინაარსის წერილი, მივიღე მეორე ნიკოსაგან აწ განსვენებულ ურბნელისაგან (ხიზანაშვილი). ამ უკანასკნელმა ქებაც და ძაგებაც გადამეტებული იცოდა. მართალია, ახალგაზდაზე საერთოდ უფრო ქებას აქვს გავლენა, მაგრამ გაზვიადებული აღტაცება ურბნელისა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებდა.

ორივე ნიკოს მე ძალიან კარგად ვიცნობდი. ერთ დროს მათ ძლიერ პოლემიკა ჰქონდათ. საჭიროდ არ მიმაჩნია პოლემიკის შინაარსის გადმოცემა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ წერის კილო ორთავე ნიჭიერი მწერლისა დიდათ განირჩეოდენ ერთი-ერთმანეთისაგან. ნიკო ლომოური სწერდა დინჯათ, პიროვნებას არ ეხებოდა. მის პასუხს უფრო აკადემიური ხასიათი ჰქონდა. ნიკო ურბნელი კი სულ ცხარობდა და მაგარი სიტყვების ხმარება როგორც ბაასში, ისე პოლემიკურ სტატიებში უყვარდა. ასეთი იყო ჩემი შთაბეჭდილება... იქნება ვცდებოდი... ის კი კარგად მახსოვს, რომ ურბნელს, რაც უნდა დაეწერა, თავისი თავი მუდამ გამარჯვებული ეგონა. ერთხელ მან კვეხნით წამოიძახა: „ჰე! ხომ მოსვცხე ჩემ მოწინააღმდეგეს... არც ახლა გაჩუმდებაო..

არ მახსოვს, რომ ნიკო ლომოურს როდისმე, ჩემთან მაინც, უდიერად მოეხსენებინოს ურბნელი. მისგან ცუდი სიტყვა არასოდეს არ გამიგია. ლომოური თავის აზრს ფაქტებზე ამყარებდა და თავაზიანი კილოთი ეკამათებოდა..

ასეთი იყო ნიკო ლომოური არა მარტო წერაში, არამედ კერძო ცხოვრებაშიც. რასაკვირველია, უნაკლულო არც ის იყო და ბევრს მისი სამართლიანი შენიშვნები სხვანაირად ეჩვენებოდა. მის ლმობიერ კილოში ხედავდენ ფარულ დაცინვას... ბევრჯელ გამიგია: „რა მწარე ენა აქვსო!“ ასეთი აზრი სინამდვილეს მოკლებულია. მას არ უყვარდა ეფექტების მოსახდენათ ბევრი ლაპარაკი; ამბობდა მხოლოდ იმას, რაც მიაჩნდა ჭეშმარიტებათ... მხოლოდ, ვიმეორებ მის ლმობიერ ბაასში ზოგიერთი, რაღაც გაუგებრობის გამო, ხედავდა სატირულ კილოს...

ბევრი რამ შემეძლო განსვენებულის შესახებ დამეწერა, მაგრამ ის მწუხარება, რომელსაც ახლა მე განვიცდი, ამის ნებას არ მაძლევს. განა დამავიწყდება მისი მაღალი შეხედულება ქართველ ქალზე და მის მომავალ ღვაწლზე? ნიკოს სიტყვა ქალთა შესახებ ახლაც მახსოვს.. ამაზე კვლავ განვაგრძობ ლაპარაკს...

აწ მეტია ნიკოს ღვაწლზე წერა... გავა დრო და ჩვენ უფრო დამშვიდებულათ შევეხებით ამ საგანს.

დღეს კი ნიკო ლომოურის ცხედარს გლოვობს და სტირის არა მარტო მისი სახლობა და ნაცნობ-ნათესაობა, არამედ მთელი საქართველო განურჩევლად სქესისა და წოდებისა... ვეენი სამშობლო, ღვთის მიერ კურთხეული ივერია მოწიწებით იხსენიებს დაუვიწყარ ნიკოს სახელს...

ვიტიროთ და ვღვაროთ ცრემლები ნიკოს უდროვოთ დაკარგვის გამო, მხოლოდ სასოწარკვეთილებასნუ მივეცემით. ამით ჩვენ დავამცირებთ ნიჭიერ მწერლის და კეთილი მასწავლებლის სახელს.

ნიკო ლომოური მიიცვალა, მისი იდეა კი ცოცხალია. ღირსეულ ხელოვნების ქურუმს დარჩა ბევრი მოსწავლე, რომელნიც ეცდებიან განახორციელონ მისი კეთილი აზრები... ესენი სულის კვეთებამდი ემსახურებიან ნიკოს მცნებას და მომავალ თაობას აღუზრდიან ღირსეულ შვილებს... და მეც, ძვირფასო ნიკო, ერთიერთი შენი სულიერი მოწაფე, თვალცრემლიანი მუხლს ვიდრეკ შენი პატიოსანი ნეშტის წინაშე და გესალმები უკანასკნელად...

შენი ძლიერი სული სამუდამოთ განშორდა ავადმყოფ სხეულს და მიისწრაფვის უცნობ ქვეყნისკენ, სადაც შეგროვილან ჩვენი დიდებული წინაპართა აჩრდილნი... მოახსენე მათ, რომ ქართველმა ერმა გაიღვიძა და მას სწყურია ნამდვილი ცხოვრება, წარმატებისაკენ მიმართული, სხვებთან ერთად გაგვამხნევე და იმედით აგვივსე გული ჩვენი, მაშინ შენც დამშვიდებულად იქნები იქ, სადაც მართალნი განისვენებენ..

**ალ. გარსევანიშვილი.**

ქ. ქუთაისი.

სწორეთ მაგარი ძარღვების პატრონი უნდა იყო ადამიანი, რომ გაუძლოს იმ საშინელ სურათს, რომელიც ვნახეთ „თითქმის ყველა მეომართა ოჯახებში.

პირველათ რომ მიდიხართ, თქვენ ყურადღებას იპყრობს მინგრეულ-მონგრეული ქოხმახი, ხშირად ნახევრად გადახურავი, იატაკი უმეტეს ნაწილათ არა აქვს და მიწაზე ცხოვრობენ. შევდივართ პატარა ეზოში და ვკითხულობთ ჯარისკაცის სახელს და გვარს. გაფითრებული ქალი—ცოლი მეომრისა—მორბის და სასოწარკვეთილი თვალებით შემოგვყურებს, ელის საშინელ ამბავს ქმრის დაღუპვისას, შიშველი ფეხები დახეულ წუღებში ჩაუდგამს, ძონძებში გახვეული, ძუძუმწოვარა ბავში ხელში უჭირავს, მეორე—ტიტლიკანა კალთაძე ებღაუჭება დედას, მესამე, უფრო მოზრდილი, სახლის უკან გარბის, რომ დიდდედას გააგებინოს ჩვენი მისვლა. მოხუცებული გაწეწილი თეთრი თმით—დედა ჯარისკაცისა—ჩვენ დანახვაზე გიჟივით მორბის, ჩემი თანამგზავრნი ვერ ითმენდენ ასეთ სურათს და ცრემლებს იწმენდენ, ჩვენ ვამშვიდებთ მათ, ვეუბნებით, რომ ჩვენი მიზანია გავიგოთ თქვენი ოჯახის მდგომარეობა, რომ მთავრობამ შემწეობა მოგცეთ, ისინი ცოტათი მშვიდდებიან.

მეორე ოჯახში 5—6 ბავში და დედაა, საშუალება არაფერი არ აქვთ, ხშირათ მჭადის ქფილს ვერ შოვობენ და ბავშები მთელი დღე მშივრებია.

აგერ ერთ მეომრის ოჯახში ტირილია გვეუბნებიან, რომ ხუთი წლის ვაჟი სახადით გარდაიცვალა, მამა ომშია, ოჯახი უპატრონოთ არის მიტოვებული, ქალების და ბავშების მეტი შინ არავინ არის, შიმშილით იხოცებიანო.

ტანში ჟრუანტელი გვივლის, ენას ვეღარ ვიღებთ და აწერის შემდეგ, განვაგრძობთ გზას.

ერთ ოჯახში მარტო ქალია ექვსი პატარა ბავშებით, საშინელ სიღარიბეში, მეზობლები გვეუბნებიან: ქალი გარეთ ვერ გამოდის, ტანთ არ აცვია, ამ რამდენიმე დღის წინათ შიმშილისაგან აწიოკებული ბავშები რომ ვერ დაამშვიდა, წყალში გადასავარდნათ გაგვექცაო, გზაზე შორეული ნათესავი შეხვედრია, და გადაურჩენია. ფქვილი უყიდნია მისთვის და მით დროებით დაუმშვიდებია, მაგრამ როდემდის?..

ქუჩის კუთხეში გვხვდება წელში მოხრილი შავ ძონძებში გახვეული 8—საცხარე ცრემლით სტირის, ქმარი და ორი ვაჟიშვილი ერთ თვეში დახოცია, მესამე და უკანასკნელი ომში გაუწვევიათ, დარჩენილა მარტოთ მარტო დანგრეულ ქოხში, თავს მათხოვრობით ირჩენს.

ერთ ქუჩაზე პატარა დუქანში შევდივართ, შიგ 15—16 წლ. პატარა გოგოა, მალხაზი და ცქვიტი, რომ ვკითხეთ, შენ რატომ ვაჭრობ, ან რა იცი ვაჭრობათქო, გვიპასუხა, ჩვენი მარჩენალი ძმა ომშია, ექვსი და და ძმა მის კისერზე ვიყავით, გვპატრონობდა, რადგან მამა ლოთია და ჩვენთვის არას დაეძებს, დღეს უპატრონოთ ვყრივართ ქუჩაში, მეტი რა ჯანია უნდა აქ ჩავდგეო... და თან ცრემლები მოადგა თვალებზე.

ჩვენი მისვლის მიზანი რომ გაუგია, აგერ მოიჩქარის ერთი ძალზე გამხდარი ქალი, ხელში ბავში უჭირავს, ძველი მოსახურავით იფარავს, მოახლოვებამდი გვიჩურჩულებდენ, მაგისი ქმარი უკვე მოკლულია, მაგრამ ჯერ არ ვუმხელთო, მოახლოვებისას გვეკითხება თუ რამე ვიცით მისი ქმრის, რომლის ამბავი ექვსი თვეა არ გაუგია, ჩვენ ვამშვიდეთ.

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, სულ ასეთი, თითქმის ერთგვარი სურათია, საშინელი სიღარიბისა და უმწეობისა. ბევრ ოჯახში ავათმყოფი ყავთ, ზოგან სახადიც. ერთმა მათგანმა შემოგვჩივლა, რომ ყველაფერი დავაგირავე, გუშინ უკანასკნელი სამოვარი გავიტანე, რომ შვილს ვუაქიმო, ჩვენი მარჩენალი ომშია, დასაგირავებელი რომ გამომელევა, წყალში უნდა გადავარდეო....

ყოველივე ამასთან სჭიროთ ვთვლი აღვნიშნო კიდევ ერთი გარამოება: ოლასკურაზე მცხოვრებნი, თითქმის ყველანი სახელმწიფო ადგილებზე ყოფილან დასახლებულნი. ამ დღეებში გამოუცხადებიათ, რომ თუ ხვედრი ფული ახლავე არ შემოიტანეთ, ადგილიდან აგყრითო.

— რა წყალში ჩავცვინდეთო?..—შემოგვტირეს მეომართა ცოლებმა, ჩვენი მარჩენელნი სასიკვდილოთ არიან გაგზავნილნი და ჩვენ, უმწეო დედა კაცებს, საიდამ შეგვიძლია ფულის შოვნაო.

საჭიროა ამ გარემოებასაც ყურადღება მიექცეს.

აი ასეთია საერთო სურათი და ჩვენი წმინდა მოვალეობაა დავეხმაროთ რითაც შეგვიძლია.

დიდი მადლობის ღირსია ქუთაისის ქალთა წრე, რომ თავს იდვა მეომართა ოჯახების დახმარება. მაგრამ სადილოების მოწყობა, როგორც დავრწმუნდი და ბ-ნი ტუსკიაც ამტკიცებს, უქმი იქნება. თითქმის ყველა ჩვენ მიერ დათვარიელებულ ოჯახებმა განაცხადეს, თუ მთავრობას სურს ჩვენი დახმარება და ოდნავ მაინც შემსუბუქება ჩვენი ასეთი უბედური მდგომარეობისა, ის რაც თითო ოჯახზე განზრახულია დაიხარჯოს სადილისათვის, ფულათ მოგვცეს და ეს ჩვენთვის დიდი ნუგეში იქნებაო. მართლაც ფულის დარიგება ძრიელ ადვილია და არც დიდ შრომას გამოიწვევს.

ამიტომ, ჩემის აზრით საჭიროა ქალთა წრემ ეს მოსაზრება და სურვილი მეომართა ცოლშვილს მოახსენოს ბ. გუბერნატორს სიების წარდგენის დროს.

რაჟ. კანდელაკი.

## მევენახეთა საყურადღებოთ.

დგება ხანა ვენახების წამლობისა და ალბათ ბევრი ვენახის მეპატრონეებს აწუხებს შაბიამანის უქონლობა და მისი საოცარი სიძვირე. გაჭირვების დროს, რასაკვირველია, ძლიერ საჭიროა კაცმა ის მაინც გონიერათ და ეკონომიურათ მოიხმაროს, რაც აბადია. ჩვენში ხშირად რციან შაბიამანზე ცოტა წყლის დასხმა (ზოგიერთი ერთ გირვანქას ერთი ფუთი წყლის მეტს არ ასხამს); ეს მეტი ხარჯია და სხვა არაფერი. ბატონებო, გაუფრთხილდით შაბიამანს, გამოიზოგეთ და მხოლოდ ის დახარჯეთ, რაც ვენახისათვის აუცილებლათ საჭიროა. ვიმეორებ სითხის მომზადების წესს: ერთი გირვანქა შაბიამანი, $^3/_4$ გირვანქა ქვა კირი და ორი ჩაფი წმინდა წყალი (ორნახევარიც შეიძლება). რომ ბევრი სითხე (წამალი) არ მოუნდეს ვენახებს, ჯერ გაფურჩქნეთ ვენახი, ე. ი. გაართვით ის მეტი ყლორტები, რომელიც ვაზს არ ესაჭიროება: სანეკოს გარდა უნაყოფო ყლორტი მოაგდებიეთ (თუ ბევრი ყლორტია უნაყოფო, მხოლოდ რამდენიმე გამოაცალეთ, რომ ვაზი ნამეტნავათ არ გაშიშვლდეს. *) შემდეგ ბუგეთ ან ფომფეთ ფრთხილათ აკარით ყლორტები და უწამლეთ. მხოლოდ ეს მუშაობა არ დაგიგვიანდესთ და წამლობის ვადა არ გაუშვათ. ასე მომზადებულ ვაზზე წამალი ცოტა წავა და ვაზის ფოთლის წამლობა ქვედა ნაპირიდან (ფოთოლს წამალი უნდა ესხუროს ზედა პირზე კი არა ქვედა პირზე) უფრო ადვილია. ამნაირათ ნაწამლ ვაზს წვიმა ადვილათ ვეღარ ჩამორეცხავს წამალს: აკრული ფოთლები ისევ გასწორდება მეორე მესამე დღეს და წვიმა ფოთლის ქვედა პირს ადვილათ ვეღარ ხვდება. წამალი მხოლოდ ვაზს უნდა უსწოროთ და მიწაზე არ დაღვაროთ.

შაბიამნის გარდა ვენახის საწამლავათ ხმარობენ ფხვნილ „ეკლერ"-ს. ეს ფხვნილი ისე უხდება ვენახს, როგორც შაბიამანი და თუ საყიდლათ იშოვოთ ნუ მოერიდებით. გამზადება წამლის ძლიერ ადვილია; იყიდება ბოჭკობით.

ფხვნილი პირდაპირ წმინდა წყალში უნდა ჩაიყაროს, მოერიოს ჯოხით და წამალი მზათ იქნება (ფხვნილი წყალში ადვილათ დნება). ვერმორელის მანქანით ესხურება. „პაჩკაზე" აწერია, თუ რამდენი წყალი უნდა დაესხას. ეს ფხვნილი, როგორც ვიცით, ჯერ ქუთაისში არ არის შემოტანილი. პატარა პარტიის მიღების იმედი გვაქვს, რასაც დროზე განვაცხადებთ.

ამას გარდა ცნობილი მიკოლოგი ა. ა. იაჩევსკი გვარწმუნებს ვიხმაროთ ჭრაქის (დანაცრის) წინააღმდეგ ერთმანეთში არეული გოგირდი და ქვა კირი წყალში გაქნილი. ეს არც ისე ადვილათ კეთდება, რადგან გოგირდი წყალში ძნელათ ითქვიფება და ის წყალში ცირციტობს. ჯერ ქვა კირი ცოტა წყლით უნდა დაშალოთ; როცა ის აიფუჩჩება და ცხელია იმ დროს უნდა მიუმატოთ მას ცოტ-ცოტა გოგირდი (თუ ფხვნილი გოგირდი არა გაქვთ, შეიძლება კვრივი გოგირდი დანაყოთ ძალიან წმინდათ). ნახევარი გოგირდი და ნახევარი კირი უნდა იქნეს. $3^1/_2$ გირვანქა კირს უნდა მიემატოს ნაჩვენები წესით $3^1/_2$ გირვანქა გოგირდი. რომ აიზილება კიდევ უნდა უმატოთ წყალი ექვს ფუთამდი და უნდა ძლიერ აურიოთ. ესხურება ვერმორელის მანქანით. მაგრამ საუბედუროთ, გოგირდიც არა გვაქვს და რაც არის, ძლიერ ძვირათ იყიდება. ვაუბატონი ვაჭრები აქაც თავის „სირაინდეს" გამოიჩენენ და, დარწმუნებული ვარ, უვარგის გოგირდს ხალხს არ დაარიდებენ. იცოდეთ გოგირდი უნდა იყოს ცინცხალი ყვითელი ფერის, მჩატე და რომ დასწვავთ რამეზე მთლათ უნდა დაიწვეს, არაფერი მისგან არ უნდა დარჩეს. ასეთ გოგირდს ენდვეთ. საჭირო ცნობებისთვის შეიძლება ასე მომართვა: ქ. ქუთაისი. კონსტანტინე მიხეილის ძეს ბერეკაშვილს. მევენახეობისა და მეღვინეობის უფროს სპეციალისტს.

კ. ბერეკაშვილი.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ. კ. ბ.

*) ყლორტებს წვერები ჯერ არ წაატეხოთ; საუბედუროთ ეს მავნე ჩვეულება ჯოგან გავრცელებულია. კ. ბ.

## საკვირაო ფელეტონი.

### იმერლის ბოდვა.

**ორშაბათი.**

ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარა დგებაო,
სადამოს ჩვენი ფილიპე
კლუბისკენ მიბრძანდებაო.

ურაა!! ქე არ გავადინე გლიჯა კლუბში! მითხრეს აქ კლუბიაო, თურმე კლუბი კი არა „ოფჩხესტვენი სობრანიე" ყოფილა, მარა მე იქინა „ოჩხესტვო" ვერ ვნახე და „სობრანიე" კი, ეცოცხლე იქინა ყოფილა. ან რომ შეყარა ამდენი უსაქმო ხალხი. ვაი, ბიჩა, რა კარგი ბათალიონი შედგება ვოინაში გასაგზავნათ... ვინ გოუმაგრდება! თვალ-მარგალიტივით ბიჭები, იშრობენ სისხლს და ყლაპავენ მელს, ვოინაში რომ გეეგზავნათ, ერთი არ დარჩებოდა უჯვაროდ.

ისევე დევანებებ თავს „სობრანიეს", თვარა იქნება ისეთი რამე წამომცდეს რომ... რომ.,.. ისევ „ოფჩესტვოზე" დავიწყებ ბოდვას... რამდენიც უნდა იბოდიალო, ჩვენს ოჩესტვას მაინც არაფელი არ ეშველება—სად არის პატრონი? ჩვენ თეთრ ხიდს გაღმა მცხოვრებლებს პატრონი გვყავს?! არ მოგეცეს ჭირი, პატრონი იმათა ყავთ, სადაც რა ქუჩაზედაც ლოსნები ცხოვრობენ, აბა რომ ასე არ იყოს, ჩვენ ასე ვიქნებით?!.. რავა ჩვენ არ ვიხდით გადასახადს თუ... ჩვენ არ მიგვაჩანჩალებენ პოლიციაში, რომ გადასახადი არ შევიტანოთ თუ?! თუ დამე მოხვდი გოშპიტლის ქუჩებისაკენ, შვიდობით ცოლო და შვილო! წელში ბაწარი უნდა მოიბა, მერე კამბეჩებს უნდა გამოაბა, რომ ტალახიდან მშვიდობით ამოგიყვანონ, ამბობენ: აგერ ორმოცდაათი წელიწადია, ვადაპრავიანტს და ქუჩებს გაკეთებენო, ვადაპრავიანტს რანაირათ გააკეთებენ, რომ, როგორც იმკვირეს მოგახსენეთ ქალაქის მამებს ოფჩესტვასთვის პრავიანტი ვერ მიუტანიათ. პრავიანტს შენი ჭირი წაუღია; ერთი წერილის გაგზავნა რომ გინდოდეს სადმე, სანამდი არ მიხვალ ლაზარეს ფურნესთან ფოშტის „იაშიკს" ვერ ნახავ, რა გაჭირდა, კაცო, თითო ოროლა ქოშტის კოლოფები, რომ მიაკიდონ გაღმა ქუჩებზე, ან და, რომ სიმართლე თქვას კაცმა, ნახევარზე მეტი მცხოვრები რიონის გაღმაა, იაშიკი კი არა, თუ უკაცრავათ არ ვიყო, კაი ფოშტის გაღება საჭირო.

იმე, ყოველი კარგი გაგახსენდა... გუშინ ფოშტაში ვიყავი... რა ამბავია შენი ჭირიმე... კაცო, ასე რავა უნდა წახდეს კაცი, ურიეებმა ასე რავა უნდა გადაგვთელონ, რავა ჩვენ უხელო ვართ, უაზრო ვართ, ალარაფრის უნარია თუ რაცხა ჯანდაბა აღარა გვაქვს თუ რაა.. კაცო ჩვენს იმერეთში რომ ამდენი ჩაი ყოფილა, რავა მარტო ურიეებს ეცათ იმისი სუნი, და ვინც კრეფს და ხედავს იმას ყნოსვა დაეკარგაა!..

მიბრძანდით ფოშტაში და ნახეთ რა გორები დგას სავსე ჩაის ტომრებისა... აქ ყიდულობენ უზომო იაფათ და ადესაში ფუთი 20— 25 მანეთია. ყველაფერი სხვამ უნდა გაზიდოს?.. ამდენი უსაქმო კაცი რომ დაყიალობს, ამ საქმეს მაინც ვერ მოკიდებენ ხელს?

**სამშაბათი.**

ვერაფერიშვილი დღე გამითენდა, დილიდამ საღამომდის ვილოწიალე. ამინდი ქეა გვარიანი! ქუჩებში მოსწავლეების გარდა ვერავის ვერ ვხედავ:

— ოჰო, ჰოო! ბიჭოს, უყურეთ სირს, რავა იგრიხება მოწაფე ქალიშვილის წინ... არიქა, ბიჩა, აგერ აგერ გაისმის „ლუბლიუ თებია! კაკ მაისკი როზა.—ნეტ პოჟალუსტა! ია ნე მაისკი როზა, ია ფიალკუ ლუბით". ნეტაი თქვენს პატრონს... რაღა გიჭირს!

ეჰე! ფაიტონში უყურე... რა ამბავია... არ მინდა, არა! ნეტაი სულაც არ გამოვსულიყავი დღეს!.. რამ გაწყვიტა ეს ჩემი ძმა ბიჭები... კაცო, ერთი აღარ ჩანს წევიდე ლოთების სობრანიეშიიი, ყველა იქინა ეყრება... არიქა, აგერ არ მოდის ერთ ჩემი აფხანაკი?!.

— ო! ფილიპეს გაუმარჯოს.

— გაგიმარჯოს.. თუ გაქ ჯიბეში რამე.

— რაღა მექნება, ჩემო ძმაო, ცოლშვილი გადავასახლე, გამიწყრა ღმერთი, მიბრძანეს და გოუსაჭე... რაღაცა ორი კაპეიკი მომცეს და შენს მტერს ის ქე მივფშვენი, ხუთი იმდენი ქე დამიჯდა... ჩემი ქალი იქნება იქინა თვალს ქე უპრაწავს ვინმეს. მე აქანა გაძაღლებული ცხოვრება მაქ, მინდა წამოვიყვანო, ფული აღარა მაქ და ქე ვარ ასე.

— ღმერთმა ამოაგდოს თათრების ოჯახი! მაგ გადასახლებას ნუ მომაგონებ, პაჟალუსტა, თვარა შენზე უარესი არც სხვას სჭირს, რას ბუზღუნობდა ის გასაწყვეტი თათარი, თუ მეტი აღარ შეეძლო!.. არიქა მევიდა თათარი, ახალციხე აიღეს და ზეკარის გზით ქუთაისში მოდიანო, ეინგრა ქვეყნიერება... აბუზბუზდა რაც კაკარტიანი კაცი იყო... ეინგრა ოჯახები, გოუდგენ გზას სამაგიეროთ მაინც გამეეგზავნათ, თვარა კი აღარ დავეძებდი.

— შენ რაღა გაწუხებს, ფილიპე ჩემო.

— რა მაწუხებს?! რა მაწუხებს და ბარე ხუთი ოჯახი მყავდა იმისთანა, რომე სადილი იქინა მქონდა და ვახშამი.. ახლა იმგენის მაგიერათ რომ ვინმე გამოეგზავნათ, ამ სიბერის დროს მეც მევიქნევდი კუდს.

— წამოდი ჩემო ფილიპე, ერთი კარგი მწვადი შევაწვევინოთ. რაც იქნება, ღარ იქნება...

— იმე! ისეც კარგი დაგემართოს, წავიდეთ... გაუდექით.. არა უშავს ღვთის მადლით დღევანდელ დღეს...

**ოთხშაბათი.**

ნეტაი დღევანდელი დღე არ გამთენებოდა და არც ბაზარში გამოვსულიყავი!.. ეს რავნახე? იმის მაგივრათ, რომ საწყალი სოფლის მასწავლებლები ამ ზაფხულში დასასვენებლათ წავიდ წამოვიდნენ, სუყველა სალდათათ არ მიყავთ?!... ან ქე რა უჭირსყე რა... მაგათზე ნაკლები ბიჭები არიან წარსულნი?!.

გავიარ გამოვიარე, ბულვარდში ვიყავი, ნეტაი ფეხი არ შემედგა ისეთი საწყენი შემხვდა, რომ კინაღამ ქუდ მოგლეჯილი გამოვარდი... ვთქვა რაც იყო?.. ვაი თუ ისეთი საწყენი დაურჩესყე, რომ... მარა არა დავიცდი ცოტას ე. ი. მომავალ კვირამდის და მანამდი თუ კიდო გამეორდა, არ უნდა ლაპარაკი, გამოვაშკარავებ. ეხლა მეც ჩუ და იმანაც ჩუ.. ასე სჯობია!

**ხუთშაბათი.**

გიორგობაა, ღმერთმა მრავალს დაგასწროთ, ხუთ სოფელში ვიყავი დაპატიჟებული და ამ შეჩვენებულმა ავდარმა ხელი არ შემიშალა?!...

რა იქნებოდა დღეს კაი დარი ყოფილიყო... მოგეცათ ღვთის წყალობა დღეს რამდენ სოფელში ბრავალ ჟამიერის ძახილი იქნებაა!.... რა გოჭები, რა ცხვრები, რა ქათმები და რა ხაჭაპურები შეითანთქლება!.. მერე რავარ დროს, საწყალ სოფლის ოჯახს, ისედაც დაქცეულს, რა დღე ადგია!.. ხარჯს თავი დაანებე, თუ კიდო ერთმანეთს თავები არ დაუხეთქეს ერთ დღეს თქვენი ჭირი წაუღია. რომ ჩაჯდება სამი დღე დაქაჩავს ღვინოს. მოდი და გოუძელი შენ.

მე,—ააშენა ღმერთმა—არქიელის გორაზე ვიყავი დაპატიჟებული, მოგეცა ღვთისა და ბატონის წყალობა (ღვთის, კი და ბატონის იმედი ნუ გაქვს) ჩვენ იქინა გაგვიმასპინძლდენ. რა გინდოდა სულო და გულო მოხრაკული, ჩახრაკული, გადამწვარ-გადმომწვარი, ჩატკბილულ გამოტკბილული. რაც შემეძლო სწორეთ ძალიან გიახელი, ასე რომ ორი დღის ზაპასი აქლემის არ იყოს მქონდა, რომ წამოსვლის დროს გზაში შავი დღე არ დამდგომოდა, კაცო გალმელების არ იყოს, ამ გორაზე მცხოვრებლები არ იხდიან გადასახადებს?!. თუ იხდიან, მერე რასა გავს იქაურობა, აღარც გზა, აღარც, სინათლე რავა არქიელის გორა რომ ქვია, იქ დაღამება არ არის თუ, რავაა... ღამე ჩემი მტერი ჩამოვიდა და ავიდა. ნეტა მე რაც დღე დამადგა ის არ დამდგომოდა თვარა... იმათ რაღას დავეძებ! კაცო, ვინ გააკეთა ეს ამხელა კიბე... ჯერ ასვლით ტყლიპი ამომძვრა... [illegible] მევედი,—გულ [illegible] ავსვი, სულ კისერში ამომაწვა და ტიკივით გაბერილი ჩამოვედი ძირს. ამას აღარ დავეძებდი, ჯაჭვის ხიდზე რომ ფეხი არ ჩამვარდნოდა, ერცახე დამაკდა კილამეს ფეხი მოვიტეხე... გამოვედი გამოღმა კოჭლობით, წევიჭირე ცხვირში ხელი ფუ, ფუ, რა სუნი დგას აქეთ იქით დუქნების წინ! მე ვიფიქრე, ეტყობა ქალაქის სანიტარებს ზედ მეტი ყურადღება მიუქცევიათ ამ ადგილებისათვის მეთქი.

მოვედი შინ... დავწევი თუ გამითენა ღმერთმა ხვალინდელი დღე, ვნახოთ რა იქნება.

**პარასკევი.**

ბაზარში გიახელი, სოფლიდან მოსულს კაცს ვერ ნახავ, გაგიგონია ნაგიორგობევია და ჯერ ბრავალჟამიერი არ დაუთავებია და ბაზარში შამოსასვლელათ სად მცალიაა... ეს წვანილი მაინც რაღამ გააძვირა? აწი ესეც ზაგრანიციდან მოდის?.. რა ვიცი, ყოველ დილას, რავარც უწინ ისე ზიდავენ და ასე ძვირი?! ტალხუნა, კაცო, ორი შაური ერთი კონა, ქე მაინც არ მიყვარდეს ეს ოხერი! თურმე ნუ იტყვით, რაც კარგი წვანილია სხვა ქვეყნებში აგზავნიან მერე ვინ არ იტყვით? ჩამოსული ვიღაც სომხები და ურიები! ვითომ იმავე ქვიტირელ კაცს არ შეუძლიან გაგზავნოს? ყველაფერი სხვამ უნდა ჩაიგდოს ხელში?! ფუ!..

**შაბათი.**

მადლობა ღმერთს მეღირსა შაბათის მოსვლა, აბანოში მაინც წავალ, მარა რათ გინდა? გაჭირვებულმა კაცმა რა ქნას, თვარა აქაურ აბანოში რავა შევა კაცი, თუ გინდა ტვინის ანგრევა, ნერვებია თუ რაღაცაა იმისი აშლა, თუ გინდა ქვეყნის ჭუჭყის შეძენა, მიბრძანდი და ნახავ შენს სეირს, ზევით რაღაცა მარშინა ისე ურახუნებს, ტვინი აგენგრევა, შიგნით შეხვალ მოუშობ კრანტს, გამოვა ტალახი, სიბნელე ისეთია, რომ გონია ჯოჯოხეთშიდაც არ იქნება ამისთანა, მარა მაინც უნდა წახვიდე იმიტომ, რომ აბანო ქვია სახელათ.

წავალ და თუ ღმერთმა მშვიდობით გადამარჩინა, შემდეგ კვირისათვის ყველაფერს ატკრავენათ გეტყვით თუ მანამდი ამომძვრა სული და თქვენ ღმერთმა მშვიდობა მოგცესგე. იმისაგან კი, ვისაც ჩემი ბოდვა გულთან ხვდება, ლანძღვის მეტს არაფერს გამომიგზავნიან.

დღეს ესეც კმარა. მინდოდა ბარემ ჩემი ბოდიალი დამესრულებია, მაგრამ შემეშინდა ვაი თუ ძალიან გაჭიანურდეს მეთქი, რავა მოვკდები, რავა გოუწყრება ღმერთი მომავალ კვირემდი და მაშინ ნახეთ სეირი. ეხლა კი თუ უკაცრავათ არ ვიყოთ კმარა.

ისევ **ფილიპე ბარბაქაძე.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ამ მცირე წერილს მისცეთ ადგილი თქვენი გაზეთის უახლოესელ ნომერში.

სოფელ ითხვისის ეკლესის მრევლმა აღდგომა დღეს, 22 მარტს, გადასწყვიტა, რომ ის უბრალო და გამანადგურებელი ხარჯები, რომელსაც ის იხდის ყოველ „რვა მაისობას" აღარ გადაიხადოს. სთხოვენ ხსენებული სოფლის მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა, თავის ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს და სხვათაც, ვისაც დაპატიჟების ბარათი არ მოუვიდეს, არავინ არ მობრძანდეს „რვა მაისობას" საქეიფოთ. ხოლო ვისაც წირვის მოსმენა უნდა, მას შეუძლია ეკლესიაზე მიბრძანდეს, თავისი რელიგიური გრძნობა დაიკმაყოფილოს და მერე სახლში წავიდეს, უკეთუ იგი დაპატიჟებული არ იქნება ვისგანმე.

მრევლის მონდობილობით:

**დეკანოზი ი. წერეთელი.**

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა შევსწიროთ ყვირილის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, რომელმაც შემოსწირა ხარაგოულის უფასო წ. შ. ს. წიგნსაცავ-სამკითხველოს ფულად ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.)

პატივისცემით ხარაგოულის წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგეობის წევრნი: **კოწია ჯაფარიძე, ვ. ლორთქიფანიძე, მღ. ანანია კაკნაძე.**

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.